ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №147

2016 წ. "12" 12

ქ.თბილისი

შპს სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სკოლა XXI საუკუნეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212705438) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. შპს სკოლა XXI საუკუნეს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №23 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე